

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის სხდომის

ოქმი №11

2019 წლის 12 სექტემბერი, 11:00 საათი

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე-ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე-ომარ მირზოშვილი.  
სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის.) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გიორგი ლამბაშიძე. მერის პირველი მოადგილე-ზურაბ ჯაფარიძე. მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი-ჯონდო კობერიძე.

მოისმინეს:

-1-

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ. (მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - ექსკავატორი ბორბლიანი „ნიუ ჰოლანდ - B 1158“, გამოშვების თარიღი 2012 წ. სარეგისტრაციო ნომერი VV353, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნების ფორმით, არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ „ლაგოდეხის სერვის ცენტრს“.)

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -6,წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად.

-2-

მოისმინეს:

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. (მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ქ.ლაგოდეხში ზაქათლის ქუჩაზე მდებარე ყოფილი N2 საშუალო სკოლის მე-2 სართულის 201,68 კვ.მ ფართის სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით ი/მ ილია მოსაშვილზე, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე.)

/მომხს: ო. მირზოშვილი/

კენჭი ეყარა საკითხს, დამწრე წევრთა ხმების უმრავლესობით(მომხრე -6,წინააღმდეგი-0), გადაწყვიტეს: მიეცეს რეკომენდაცია საკითხს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად.

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე

ომარი მირზოშვილი